

საქართველოს
დაპროზიხების დაზღვევის საბუნბო



DEPOSIT INSURANCE AGENCY
OF GEORGIA

სააგენტოს საინვესტიციო პოლიტიკა

დეკემბერი, 2017 წელი

სარჩევი

| | |
|---|---|
| საინვესტიციო პოლიტიკის რეგულირების სფერო..... | 2 |
| ტერმინთა განმარტება..... | 2 |
| ინვესტირების პრინციპები..... | 2 |
| უფლებამოსილი ორგანოები და ანგარიშგების წესი..... | 3 |
| დასაშვები საინვესტიციო ინსტრუმენტები..... | 3 |
| საინვესტიციო პორტფელის სტრუქტურა და ლიმიტები..... | 4 |
| საინვესტიციო პორტფელის შეფასება..... | 4 |
| რისკების მართვა..... | 5 |

მუხლი 1. საინვესტიციო პოლიტიკის რეგულირების სფერო

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს საინვესტიციო პოლიტიკა (შემდგომში - საინვესტიციო პოლიტიკა) არეგულირებს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს (შემდგომში - სააგენტო) მიერ დეპოზიტების დაზღვევის ფონდის (შემდგომში - ფონდი) სახსრების ინვესტირების მთავარ პრინციპებს.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

ამ საინვესტიციო პოლიტიკაში გამოყენებულ ტერმინებს აქვს „დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონით (შემდგომში - კანონი), „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონით და „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრული მნიშვნელობა, თუ ამ საინვესტიციო პოლიტიკით განსხვავებულად არ არის დადგენილი.

მუხლი 3. ინვესტირების პრინციპები

ფონდის დაცვისა და გაზრდის მიზნით, თავის საინვესტიციო საქმიანობის განხორციელებისას სააგენტო ეყრდნობა შემდეგ პრინციპებს:

1. უსაფრთხოება - ინვესტიცია მიიჩნევა უსაფრთხოდ, თუ მისი გაუფასურების რისკი მინიმუმამდეა დაყვანილი და საბაზრო ღირებულება გამოირჩევა მცირე ცვალებადობით. უსაფრთხო აქტივებად განიხილება სამთავრობო და ცენტრალური/ეროვნული ბანკის ფასიან ქაღალდები და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების სავალო ინსტრუმენტები. ასევე მნიშვნელოვანია ამ ინსტრუმენტების საინვესტიციო რეიტინგი, როგორც უსაფრთხოების შეფასების ინდიკატორი.
2. ლიკვიდურობა - ინვესტიცია მიიჩნევა ლიკვიდურად, თუ ფასიანი ქაღალდების ფულად გარდაქმნა (კონვერტაცია) შესაძლებელია მაქსიმალურად მოკლე ვადაში მინიმალური დანაკარგებით. როგორც წესი, ასეთ ვადად 7 სამუშაო დღე განიხილება.
3. დივერსიფიცირება - საინვესტიციო პორტფელის დივერსიფიცირებად ითვლება, როდესაც პორტფელი ფორმირებულია განსხვავებული ემიტენტების სხვადასხვა ვადიანობის ინსტრუმენტებით და მათზე ფასის ცვლილება ნაკლებად კორელირებულია.

მუხლი 4. უფლებამოსილი ორგანოები და ანგარიშგების წესი

1. საინვესტიციო პოლიტიკას, წლიურ საინვესტიციო გეგმასა და მასში გასაანხორციელებელ ცვლილებებს, ასევე საჭიროებისამებრ ინვესტიციის მართვის კომპანიის/ორგანიზაციის შერჩევის შესახებ სააგენტოს წინადადებას იხილავს და ითანხმებს სააგენტოს სამეთვალყურეო საბჭო.
2. საინვესტიციო პოლიტიკის და წლიური გეგმის პროექტს სამეთვალყურეო საბჭოსთან შესათანხმებლად წარადგენს სააგენტოს უფროსი.
3. სააგენტოს სამეთვალყურეო საბჭოს მიერ შეთანხმებულ საინვესტიციო პოლიტიკას და წლიურ საინვესტიციო გეგმას ამტკიცებს სააგენტოს უფროსი.
4. წლიური საინვესტიციო გეგმის პროექტი და დამტკიცებულ გეგმაში ცვლილებების პროექტი მზადდება ფინანსური ექსპერტის მიერ, სააგენტოს უფროსთან შეთანხმებით.
5. სააგენტო უფლებამოსილია საინვესტიციო საქმიანობა მთლიანად ან ნაწილობრივ განახორციელოს სხვა პირ(ებ)ის მეშვეობით, „დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონისა და საინვესტიციო პოლიტიკის შესაბამისად.
6. ამ მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში, სააგენტომ აქტივების მმართველ კომპანიასთან/ორგანიზაციასთან უნდა გააფორმოს ხელშეკრულება ინვესტიციების მართვის შესახებ.
7. სააგენტოს უფროსი ყოველწლიურად წარუდგენს ანგარიშს სამეთვალყურეო საბჭოს განხორციელებული საინვესტიციო საქმიანობის შესახებ.
8. სააგენტო საკუთარ ვებგვერდზე აქვეყნებს საინვესტიციო პორტფელის სტრუქტურასა და წლიურ ანგარიშს.

მუხლი 5. დასაშვები საინვესტიციო ინსტრუმენტები

1. სააგენტო უფლებამოსილია ინვესტიცია განახორციელოს მხოლოდ შემდეგი ტიპის ინსტრუმენტებში:
 - ა) საქართველოს მთავრობის, საქართველოს ეროვნული ბანკის, საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციის მიერ გამოშვებული, ლარით დენომინირებული სავალო ფასიანი ქაღალდები;
 - ბ) ევროპის ცენტრალური ბანკის, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის, ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების, ევროკავშირის სუპრანაციონალური სააგენტოების მიერ გამოშვებული, ფიქსირებული შემოსავლის მქონე ფასიანი ქაღალდები და სხვა სავალო ინსტრუმენტები.

2. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციისა და ევროკავშირის წევრი ქვეყნების მიერ გამოშვებული ფიქსირებული შემოსავლის მქონე ფასიან ქაღალდებსა და სავალო ინსტრუმენტებში ინვესტირებისას, გამომშვებს უნდა გააჩნდეს მინიმუმ „მაღალი რეიტინგი“. „მაღალი რეიტინგი“ ნიშნავს, სარეიტინგო სააგენტო სტანდარტ&ფუარსის (S&P) ან მუდის (Moody) ან ფიჩის (Fitch) მიერ მინიჭებულ მინიმუმ „AA“ გრძელვადიან საკრედიტო რეიტინგს ან/და მინიმუმ “A-1+” მოკლევადიან საკრედიტო რეიტინგს. ამასთან, იმისთვის, რომ რეიტინგი მიჩნეულ იქნას „მაღალ რეიტინგად“, რომელიმე ამ სააგენტოს მიერ მინიჭებული რეიტინგი არ უნდა იყოს ამ პუნქტით განსაზღვრულზე ნაკლები.

მუხლი 6. საინვესტიციო პორტფელის სტრუქტურა და ლიმიტები *

1. ფონდის რესურსის დაბანდება განხორციელდება შემდეგი ლიმიტების ფარგლებში:
 - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ გამოშვებული სავალო ინსტრუმენტები - არა უმეტეს 75%-სა;
 - ECB, OECD და EU წევრების მიერ გამოშვებული სავალო ინსტრუმენტები - არაუმეტეს 25% -სა.
2. ლიმიტების ფარგლებში ინვესტირების კონკრეტული დეტალები განისაზღვრება წლიური საინვესტიციო გეგმით.
3. მთლიანი საინვესტიციო პორტფელის ვადიანობამ უნდა შეადგინოს არაუმეტეს 24 თვისა.

*- სააგენტო თავისი საქმიანობის საწყის ეტაპზე ორიენტირებული იქნება ფონდის შევსებაზე და საინვესტიციო პორტფელის შემოსავლიანობის მაღალი დონის უზრუნველყოფის მიზნით, დაბანდებები უპირატესად ადგილობრივ ბაზარზე ლიმიტების გარეშე განხორციელდება.

მუხლი 7. საინვესტიციო პორტფელის შეფასება

1. ყოველ წელიწადს მოხდება საინვესტიციო პორტფელის (შემდგომში - პორტფელი) შეფასება. შეფასებისათვის გამოყენებული იქნება წლიური ინფლაციის მაჩვენებელი და გაცვლითი კურსის ცვლილება.
2. პორტფელის მართვა ჩაითვლება დამაკმაყოფილებლად თუ წლის განმავლობაში პორტფელის რეალური ღირებულება მინიმუმ შენარჩუნებული იქნა.
3. უცხო ვალუტაში დენომინირებული პორტფელის ნაწილი შეფასდება გაცვლითი კურსის ცვლილების გავლენის გათვალისწინებით;
4. პორტფელის შეფასება IFRS -ის შესაბამისად მოხდება.

მუხლი 8. რისკების მართვა

1. ინვესტირებისას სააგენტომ უნდა გაითვალისწინოს შემდეგი ხუთი ძირითადი ტიპის რისკი:

ა) **საკრედიტო რისკი** - გულისხმობს საფრთხეს, როდესაც მეორე მხარეს (ფასიანი ქაღალდების ემიტენტი/დეპოზიტის მფლობელი) გააჩნია ფინანსური ვალდებულებები სააგენტოს წინაშე და იგი გადახდისუუნაროა და არ შეუძლია ვალდებულებების შესრულება.

საკრედიტო რისკი შემცირებული იქნება მინიმუმამდე, რადგან სააგენტო სახსრებს დაბანდებს მხოლოდ სამთავრობო და ეროვნული ბანკის სავალო ინსტრუმენტებში, ასევე სხვა ემიტენტების იმ ინსტრუმენტებში რომელთაც აქვთ AA და მეტი რეიტინგი.

ბ) **ლიკვიდურობის რისკი** - გულისხმობს საფრთხეს, როდესაც სააგენტოს არ შეუძლია მის მიერ შეძენილი ფასიანი ქაღალდების ფულად გარდაქმნა (კონვერტაცია), რაც იწვევს სააგენტოს არალიკვიდურობას და ხელს უშლის მას საჭიროების შემთხვევაში ვალდებულებების შესრულებაში, რაც გაუთვალისწინებელ ზიანს აყენებს სააგენტოს და საფრთხეს უქმნის მის რეპუტაციას.

სააგენტოს მიზნებიდან გამომდინარე ლიკვიდურობის რისკის შემცირება ერთერთ ყველაზე მნიშვნელოვან ამოცანაა. რისკის მინიმუმამდე დასაყვანად სააგენტო განახორციელებს ინვესტირებას მხოლოდ იმ პირობით, რომ არ შეიქმნას რაიმე შეფერხება დაბანდებული სახსრების უმოკლეს პერიოდში გამოთხოვას.

გ) **საბაზრო რისკი** - გულისხმობს საბაზრო რისკს, რომელიც ცვლის საპროცენტო განაკვეთსა და კრედიტის მოცულობას და გავლენას ახდენს სააგენტოს შემოსავლებზე ან მის მფლობელობაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულებაზე. საბაზრო რისკის მართვის მიზანი არის საბაზრო რისკის კონტროლი მისაღები პარამეტრების ფარგლებში, სანამ მოხდება რისკის ოპტიმიზაცია.

საბაზრო რისკის ზეგავლენის შეფასებისას გასათვალისწინებელია, რომ ფონდის სახსრების დაბანდებით მიღებული შემოსავლის ოდენობის ცვლილების ზეგავლენა სააგენტოზე დაკისრებული ფუნქციების განხორციელებაზე იქნება მინიმალური, რადგან დეპოზიტების დაზღვევის ფონდის შევსების მთავარ წყაროს წარმოადგენს საბანკო შენატანები. თუმცა მნიშვნელოვანი იქნება სადაზღვევო შემთხვევის დადგომის მომენტისათვის სააგენტოს მფლობელობაში არსებული ფასიანი ქაღალდების რეალიზაციისას მათი საბაზრო ღირებულება. ამ

რისკის შესამცირებლად სააგენტო დაბანდებებს განახორციელებს იმ პირობებით, რომ ვადაზე ადრე რეალიზაციისას შესაძლებელი იყოს მისაღები ფასის უზრუნველყოფა.

დ) **სავალუტო რისკი** - გულისმობს იმ ზიანის რისკს, რომელიც დაკავშირებულია უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებასთან და რომელიც შეიძლება წარმოიშვას ჰეჯირების არარსებობის პირობებში იმის გამო, რომ სააგენტო ვალდებულია დააზღვიოს უცხოურ ვალუტაში დენომინირებული დეპოზიტები, ხოლო შენატანების განხორციელება ხდება ლარში.

სავალუტო რისკის შესამცირებლად სააგენტო, საქართველოს ეროვნული ბანკის დახმარებით, საერთაშორისო ბაზარზე განათავსებს სახსრებს შესაბამის ვალუტაში და იმ მოცულობით, რაც გადაფარავს სავალუტო დეპოზიტების იმ ნაწილს, რომელთა მოცულობაც სადაზღვევო მომენტის დადგომისას ასანაზღაურებელ ზღვარზე ნაკლები იქნება. ასანაზღაურებელ ზღვარზე მეტი მოცულობის დეპოზიტებზე სავალუტო რისკი არ გავრცელდება.

ე) **საოპერაციო რისკი** - გულისხმობს სააგენტოს პროცესებთან, პერსონალთან, ტექნოლოგიებთან და ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებულ სხვადასხვა რისკს, ასევე რისკს, რომელიც დაკავშირებული გარე ფაქტორებთან (მაგრამ არა საკრედიტო, საბაზრო და ლიკვიდურობის რისკებს) და როგორც არის საკანონმდებლო და რეგულაციების მოთხოვნებიდან და ზოგადად აღიარებული სტანდარტებისა და კორპორატიული ქცევიდან გამომდინარე რისკები.

საოპერაციო რისკის შესამცირებლად სააგენტოში შექმნილია გასაგები და ეფექტიანი მმართველობით სტრუქტურა კარგად განსაზღვრული, გამჭვირვალე და თანმიმდევრული პასუხისმგებლობების ხაზებით, რომელიც დამტკიცებულია სამეთვალყურეო საბჭოს მიერ. მიმდინარე პროცესების სანდოობის ამაღლების მიზნით იგეგმება თანამედროვე სტანდარტის კომპიუტერული პროგრამების დანერგვა. განხორციელდება სამართლებრივი რისკის რეგულარული კონტროლი.